მინდობილობა

წინამდებარე დოკუმენტით, მე, თამარ ციციშვილი (ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე; პასპორტის ნომერი: 517645210) (შემდგომში „მარწმუნებელი“) ვაცხადებ, რომ მსურს გადავანდო თამაზი ბენ იოსეფის (ისრაელის მოქალაქე; დაბადების თარიღი: 12.07.1957; პასპორტის ნომერი: 22489315; პირადი ნომერი: 0-1163073-8) მიერ 2016 წლის 24 მაისს გაცემული მინდობილობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 160551279; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი: 37851046927916) საფუძველზე ჩემთვის მინიჭებული უფლებამოსილებები:

რევაზ ტყემალაძეს (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01024004230) (*შემდგომში* “რწმუნებული”)

რათა მან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განახორციელოს ნებისმიერი შემდეგი მოქმედება:

- რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს კომპანია თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-თბილისის არქიტექტურის წინაშე და განახორციელოს ნებისმიერი მოქმდება მარწმუნებლისთვის კომპანიის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია ნებისმიერ ორგანოში, მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარადგინოს/შეიტანოს/მიიღოს თანხმობა/შეათანხმოს არქიტექტურული კონცეფცია, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი (რაც მოიცავს: არქიტექტურულ პროექტს, სამშენებლო პროექტს და/ან ტექნოლოგიურ პროექტს), მონაწილეობა მიიღოს და მისცეს ხმა ნებისმიერ სხდომაზე, მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, შესაბამის ორგანოებთან შეათანხმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეათანხმოს/გაზარდოს სამშენებლო კოეფიციენტი, მოითხოვოს და მიიღოს არქიტექტურული

ინსტრუქციები და კონსულტაციები. რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილია წარადგინოს/ხელი მოაწეროს/მოითხოვოს/მიიღოს/მოიპოვოს ნებისმიერი განცხადება/დოკუმენტი/ხელშეკრულება/შეთანხმება/არქიტექტურული პროექტი/არქიტექტურული კონცეფცია და ნებისმიერი სხვა საბუთი, რაც შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ განსაზღვრული დავალებების განსახორციელებლად. რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს სათანადო ორგანოებთან არქიტექტურული პროექტის თაობაზე თანხმობის მისაღებად და კომპანიის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე მინდობილობით, მაგრამ შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ განსაზღვრული უფლებამოსილებების შესასრულებლად.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2017 წლის 24 მაისამდე.

მარწმუნებელი

თამარ ციციშვილი

/----------/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N161083805
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.09.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	70228196729716

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის **ოც სექტემბერს** მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვამოწმებ **თამარ ციციშვილის (დაბ. 07.08.1980წ., მისი განცხადებით მცხოვრები ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. №12, პასპორტი USA 517645210 გაც. 28.07.2014წ.) ხელმოწერის ნამდვილობას.** ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიაუნობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია ერთ ეგზემპლარად.

სანოტარო საზღაური – 2 (ორი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 4,36 (ოთხი და ოცდათექვსმეტი) ლარი.

ნოტარიუსი: /ნინო ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28/2



მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, ჯაბა გველებიანი (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 33001066138) (შემდგომში „მარწმუნებელი“) ვაცხადებ და მსურს გადავანდო ასაფ რაზის (ისრაელის მოქალაქე; პასპორტის ნომერი: 30414038; პირადი ნომერი: 0-2362105-5) მიერ 2016 წლის 19 აპრილს გაცემული მინდობილობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 160403728; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი: 97023536039816) საფუძველზე ჩემთვის მინიჭებული უფლებამოსილებები:

რევაზ ტყემალაძეს (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01024004230) (შემდგომში „რწმუნებული“)

რათა მან მარწმუნებლის სახელით განახორციელოს ნებისმიერი შემდეგი მოქმედება:

- რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს კომპანია თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-თბილისის არქიტექტურის წინაშე და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება მარწმუნებლისთვის კომპანიის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია ნებისმიერ ორგანოში, მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარადგინოს/შეიტანოს/მიიღოს თანხმობა/შეათანხმოს არქიტექტურული კონცეფცია, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი (რაც მოიცავს: არქიტექტურულ პროექტს, სამშენებლო პროექტს და/ან ტექნოლოგიურ პროექტს), მონაწილეობა მიიღოს და მისცეს ხმა ნებისმიერ სხდომაზე, მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, შესაბამის ორგანოებთან შეათანხმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეათანხმოს/გაზარდოს სამშენებლო კოეფიციენტი, მოითხოვოს და მიიღოს არქიტექტურული ინსტრუქციები და კონსულტაციები. რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილია წარადგინოს/ხელი მოაწეროს/მოითხოვოს/მიიღოს/მოიპოვოს ნებისმიერი განცხადება/დოკუმენტი/ხელშეკრულება/შეთანხმება/არქიტექტურული პროექტი/არქიტექტურული კონცეფცია და ნებისმიერი სხვა საბუთი, რაც შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ განსაზღვრული დავალებების განსახორციელებლად. რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს სათანადო ორგანოებთან არქიტექტურული პროექტის თაობაზე თანხმობის მისაღებად და კომპანიის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე მინდობილობით, მაგრამ შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2017 წლის 19 აპრილამდე.

მარწმუნებელი

/-ჯაბა გველებიანი-/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N161478624
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.12.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06592372660716

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის **ოცდაათ დეკემბერს** მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვამოწმებ **ჯაბა გველებიანის** (დაბ. 04.04.1990წ. მცხ. ოზურგეთი ს. შემოქმედ; პ/ნ: 33001066138) **ხელმოწერის ნამდვილობას მინდობილობაზე.** ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიაუნობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და მასზე დამოწმებულია სულ ორი ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური – 4 (ოთხი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. №507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 6.72 (ექვსი ლარი და 72 თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: /ნინო ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №28/2

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, ასაფ რაზი (ისრაელის მოქალაქე; პასპორტის ნომერი: 30414038; პირადი ნომერი: 0-2362105-5) („მარწმუნებელი") მოქმედი როგორც შპს „არ & ელ გრუპი"-ის (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; საიდენტიფიკაციო კოდი: 404473556) („კომპანია") დირექტორი და პარტნიორი უფლებამოსილებას ვანიჭებ შემდეგ პირებს:

არჩილ ლეჟავა (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01030025769)

ჯაბა გველებიანი (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 33001066138)

თამარ ციციშვილი (ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე; პასპორტის ნომერი: 517645210) და

ლანა ყანჩელი (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01005027273) („რწმუნებულ(ებ)ი")

რათა მათ ერთობლივად ან/და დამოუკიდებლად განახორციელონ შემდეგი ქმედებები:

1. იყვნენ ჩემი წარმომადგენლები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერ სააგენტოში. წარადგინონ განაცხადი და ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია ჩემთვის საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ბინადრობის მოწმობის მისაღებად; რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან გადაიხადონ ბაჟი ან ნებისმიერი სანოტარო ან/და სარეგისტრაციო საზღაური და გაიღოს ყველა საჭირო ხარჯი. ხელი მოაწერონ ნებისმიერ განაცხადსა და დოკუმენტს აღნიშნული დავალების შესასრულებლად.
2. წარმოადგინონ ჩემი, როგორც კომპანიის დირექტორის ინტერესები დამოუკიდებლად და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ნებისმიერ სხვა მესამე პირთან. განახორციელოს ნებისმიერი და ყველა უფლება, რაც დირექტორს მინიჭებული აქვს კომპანიის წესდებით, ან/და შრომის ხელშეკრულებით ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ით. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ ნებისმიერ დოკუმენტს/განცხადებას/შეთანხმებას დირექტორის სახელით; დაასაქმონ და გაათავისუფლონ ნებისმიერი თანამშრომელი კომპანიაში, შეასრულონ და შეწყვიტოსნ ნებისმიერი შრომის ხელშეკრულება კომპანიის პერსონალთან მიმართებაში და განახორციელონ ნებისმიერი და ყველა სხვა მოქმედება რაც განეკუთვნება დირექტორის უფლებამოსილებას.
3. ერთობლივად ან/და დამოუკიდებლად დაარეგისტრირონ კომპანია ჩემი ან/და კომპანიის სახელით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მონაწილეობა მიიღონ საწარმოს დამფუძნებელთა კრებაში, ხელი მოაწერონ პარტნიორთა კრების ოქმს, ჩემი ან/და კომპანიის სახელით მიიღონ გადაწყვეტილება კომპანიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მიიღონ გადაწყვეტილება კომპანიაში წილების განაწილებასთან დაკავშირებით, მიიღონ გადაწყვეტილება კომპანიის დირექტორის დანიშვნის და შეცვლის შესახებ, მიიღონ გადაწყვეტილება, დაარეგისტრირონ და შეცვალონ ელექტრონული ფოსტა კომპანიისათვის, განსაზღვრონ კომპანიის იურიდიული მიმსამართი, ხელი მოაწერონ დამფუძნებელთა/პარტნიორთა კრების ოქმებს, შესაბამის ხელშეკრულებებს, წესდებას და მის ახალ რედაქციას, ასევე ნებისმიერ სხვა დოკუმენტებს, რაც აუცილებელია კომპანიის

დასარეგისტრირებლად საჯარო რეესტრში და კომპანიის რეგისტრირებულ მონაცემებში შემდგომი ცვლილებების შესატანად. რწმუნებულები აგრეთვე უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ ჩემი ინტერესები ნოტარიუსთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, ნებიემიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებასთან, მათ შორის შემოსავლების სამსახურთან და ასევე, გამოითხოვონ/შეიტანონ ნებისმიერი დოკუმენტი. ღწმუნებულები ასევე უფლებამოსილნი არიან დაარეგისტრირონ კომპანია დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურში.

4. რწმუნებულები ასევე უფლებამოსილნი არიან, შეუზღუდავად წარმოადგინონ ჩემი ან/და კომპანიის ინტერესები საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთობაში, მათ შორის: ფინანსთა სამინისტრო, საბაჟო ორგანოები, სსიპ შემოსავლების სამსახური, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, თბილისის მერია და მისი დაქვემდებარებაში არსებული ნებისმიერი უწყება და ნებისმიერი სხვა სამთავრობო ან/და არასამთავრობო ორგანოები; ასევე წარმოადგინოს ჩემი ან/და კომპანიის ინტერესები ნებისმიერ სამთავრობო ან/და არასამთავრობო ორგანოს წინაშე ნებისმიერი სახის ნებართვის ან/და ლიცენზიის მოპოვების მიზნით. ღწმუნებულები უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ ჩემი ან/და კომპანიის ინტერესები საქართველოს სასამართლოების პირველ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში, ან/და ნებისმიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალში, საარბიტრაჟო ინსტიტუტში, მედიაციაში; მიიღოს და შეასრულოს ნებისმიერი აქტი ან ქმედება, რაც აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის ან/და არბიტრაჟის წესების შესაბამისად დადგენილი პროცედურული ქმედებების განსახორციელებლად, არც უკავშირდება: (ა) სარჩელის, საჩივრის, სარჩელის/საჩივრის ცნობის, არბიტრაჟში და/ან სასამართლოში შეგებებული სარჩელის, შესაგებლის წარდგენას; (ბ) სარჩელის საგნის შეცვლას, მორიგებას, სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების/განჩინების გასაჩივრებას კერძო, სააპელაციო და საკასაციო სარჩელით/საჩივრით; საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და/ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილების შესახებ ნებისმიერი პრეტენზიის წარდგენა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ნებისმიერ ეტაპზე. ღწმუნებულების უფლებამოსილნი არიან წარადგინონ სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებულ გადასახდელებზე დაუყოვნებლივი აღსრულების მისაქცევად; მიიღონ შესაბამისი ქონება ან/ და თანხა. ღწმუნებულები უფლებამოსილნი არიან გადასცენ ხსენებული უფლებამოსილებები სხვა ნებისმიერ პირს, რათა შეასრულოს სპეციფიკური პროცედურული ქმედებები და მიიღოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

5. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან, იმოქმედონ ჩემი ან/და კომპანიის სახელით, აწარმოოს მოლაპარაკებები ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი უძრავი ან/და მოძრავი ქონების შესყიდვის ან სხვაგვარად შეძენის, იჯარით ან/და ქირით აღების მიზნით. დატვირთოს აღნიშნული ქონება სანივთო უფლებებით, მათ შორის იპოთეკით, გირავნობით, სერვიტუტით, უზუფრუქტითა და აღნაგობით. ეს მოლაპარაკებები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ნასყიდობის, იჯარისა თუ ქირავნობის ფასზე და ვადაზე შეთანხმებით. რწმუნებული უფლებამოსილია, ხელი მოაწეროს ნასყიდობის, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებას, ნოტარიულად დაამოწმოს ან/და დაარეგისტრიროს ისინი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში და გადაიხადოს ნასყიდობის საფასური, ასევე იჯარის ან/და ქირის თანხა.

6. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან, აწარმოონ ჩემს ან/და კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების გასხვისებასთან, იჯარით, ქირავნობით ნებისმიერ მესამე პირზე გაცემასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები; რწუნებული უფლებამოსილია გაასხვისოს ან/და გადასცეს ნებიმიერ მესამე პირს იჯარით ან ქირავნობით; დატვირთონ აღნიშნული ქონება სანივთო უფლებებით, მათ შორის იპოთეკით, გირავნობით, სერვიტუტით, უზურფრუქტითა და აღნაგობით. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან, შეათანხმონ ფასი, ვადა და ხელშეკრულების პირობები.

7. რწმუნებულ(ებ)ი უფლებამოსილია, იყოს ჩემი ან/და კომპანიის წარმომადგენელი ნოტარიუსთან, დაარეგისტროს კომპანიის ან/და ჩემი საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შინაგან საქმეთა სამინიტროს მომსახურების სააგენტოში ან სხვა უფლებამოსილ ორგანოებში; შეაგროვოს ან/და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რაც აუცილებელია ნასყიდობის, იჯარის, ქირავნობის, ჩუქების, სერვიტუტის, უზუფრუქტის, აღნაგობის, გირავნობისა ან/და იპოთეკის ხელშეკრულებების, დადებისათვის; გადაიხადოს უძრავი, მოძრავი ან/და სხვა ქონების შესყიდვასთან, ასევე ნებისმიერი ზემოხსენებული გარიგების დადებასთან და შესრულებასთან დაკავშირებული გადასახადები/გადასახდელები ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების გზით. რწმუნებული ასევე უფლებამოსილია, გადარიცხოს/გადაიხადოს სარეგისტრაციო, სანოტარო ან/და სხვა საკომისიო გადასახადები, რომლებიც აუცილებელია ზემოხსენებული გარიგებების დასასრულებლად.

8. რწმუნებულ(ებ)ი უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით მონაწილეობა მიიღოს აუქციონებში, ტენდერებში და სახელმწიფო დაწესებულებების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და კერძო კომპანიების პრივატიზაციის პროცესში. ზემოხსენებული დავალებების შესასრულებლად რწმუნებული უფლებამოსილია, წარმომადგინოს კომპანიის ინტერესები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ან/და იმოქმედოს კომპანიის სახელით კერძო და საჯარო სტრუქტურებთან ურთიერთობაში.

რწმუნებულ(ებ)ი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც პირდაპირ არაა გათვალისწინებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ შეიძლება აუცილებელი გახდეს მინდობილობით განსაზღვრული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულ(ებ)ი უფლებამოსილია, წინამდებარე მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადაანდოს ნებისმიერ მესამე პირს განუსაზღვრელი ვადით.

მინდობილობა ძალაშია 1 (ერთი) წლის ვადით ხელმოწერის მომენტიდან.

მარწმუნებელი:

/ _____ /

Power of Attorney

With this power of attorney, I, **Asaf Raz** (Citizen of Israel, Pass. N.30414038; Pers. N.: 0-2362105-5) ("the Grantor") acting as a partner and a director of **R & L Group LLC** (a company registered and existing under the Georgian legislation, with identification code: 404473556) ("the Company)

Hereby authorize:

Archil Lezhava (citizen of Georgia; p.n. 01030025769)
Jaba Gvelebiani (citizen of Georgia; p.n. 33001066138)
Tamar Tsitsishvili (citizen of the United States of America; Pass.N: 517645210) and
Lana Kancheli (citizen of Georgia; p.n. 01005027273) ("the Trustee(s)")

To carry out individually and/or jointly any of the following actions:

1. To represent my interests before the Legal Entity of Public Law (LEPL) – National Agency of Civil Registry under the Ministry of Justice. To submit application(s) and any required documentation on my behalf in order to receive Temporary Residency Card by me on the territory of Georgia. The Trustees are also authorized to pay any State Fees, Notary and /or Registration fees and cover expenses; to sign any application(s) and/or document(s) for fulfillment of this assignment.

2. To represent my and/or Company's interests independently and without any restriction, as the registered Director of the Company in relation with any other third party, to exercise any and all rights granted to the director under the respective Charter of the company, or employment agreement or any other relevant documents(s). Trustee is authorized to sign any document/application/agreement on behalf of the Director; to hire and remove any employees in the company; to execute and terminate the employment agreement with the personnel of the company and carry out any other actions under the authorities of Director.

3. To jointly and/or individually register the company at National Agency of Public Registry on my and/or Company's behalf, participate in the founder's meeting of the Company, sign decision of the founder's meeting, decide on distribution of the shares, decide on appointment and changing of director of the company, determine the legal address of the Company, make relevant contract, charter and its new addition, also any other document that will be necessary for registering the Company at the National Agency of Public Registry and further changing of the registration data of the Company. The Trustee is authorized to represent mine and my company's interests with Public Notary, National Agency of Public Registry, Entrepreneurial Registry and any governmental and non-governmental entity, including but not limited to Revenue Service, also to withdraw/submit any document. Trustee is also authorized to register the company as the VAT payer at the LEPL Revenue Service of Ministry of Finance.

4. The Trustee is also authorized to represent mine and Company's interests in relations with any state bodies of Georgia, including the Ministry of Finance, Customs officials, LEPL Revenue Service of Georgia, LEPL National Bureau of Enforcement, Tbilisi city hall and all its agencies and any other governmental and/or non- governmental bodies; to represent mine and Company's interests before any governmental and/or non-governmental entity for the purposes of obtaining any permit and/or license. The Trustee is authorized to represent mine and Company's interests before the first, appellate and cassation instances of Georgian courts and/or any arbitral tribunals, arbitration institutions, and mediation; receive and carry out any actions necessary for performing all procedural actions under Article 98 of the Civil Procedural Code of Georgia and/or the

ASAF RAZ

relevant arbitration rules, which are related to: (a) filing the legal claim, complaint, acknowledgement of the legal claim, and/or complaint; (b) changing the subject matter of the legal claim/complaint; settlement, appeal of court and/or arbitral award/decision through private, appellate and cassation legal claim/complaint; challenge arbitral award/decision of arbitral tribunal on any stage of recognition and/or enforcement of such award/decision. The Trustee is also authorized to: present the writ of execution on payments determined by the writ of execution for immediate enforcement; receive respective property and/or sums. The Trustee is authorized to delegate the stated powers to any other person to fulfill specific procedural actions and to receive the writ of execution issued by the notary.

5. The Trustee is authorized to conduct negotiations on my and company's behalf with any natural and/or legal person with regards to purchase or otherwise acquisition, lease and/or renting of any immovable and/or movable property on the territory of Georgia. Encumber the stated property with property rights including mortgage, pledge, servitude, usufruct, and leasehold. These negotiations include but are not limited to agreement on price and terms of purchase, lease or rent. The Trustee is authorized to sign purchase, lease and rent agreement(s), notarize and/or register those at the respective registration body and pay purchase fee, lease and/or rent amount.

6. The Trustee is authorized to conduct negotiations on my and company's behalf regarding alienation, lease, and rent of immovable/movable property under the company's ownership to any third party; The Trustee is authorized to alienate, sell, lease or rent it to any third person, encumber the stated property with property rights including mortgage, pledge, servitude, usufruct, and leasehold. The Trustee is authorized to negotiate on price, term and agreement conditions.

7. The Trustee is authorized to represent me and/or the company before notary, register my and/or company's ownership rights at the National Agency of Public Registry, Service Agency of the Ministry Of Interior or other relevant body. The Trustee is authorized to collect and/or sign any document, which is necessary for execution of purchase, lease, rent, gift, servitude, usufruct, leasehold, pledge and/or mortgage agreements; pay taxes/duties for purchase of immovable, movable and/or other property as well as execution and fulfillment of the above transactions through cash and/or bank transfer. The Trustee is also authorized to transfer/pay registration, notary and/or other commission fees necessary for completion of the above-mentioned transactions.

8. The Trustee is authorized to participate on my and/or company's behalf in any auction(s), tender(s) and privatization process of governmental institutions, state owned or private companies. In accomplishment of the above-mentioned assignment(s) the Trustee is empowered to represent the company's interests, and negotiate, sign and/or act on the company's behalf in relation(s) with private and public entities.

The Trustee is authorized to undertake any other action(s) that are not directly indicated in the present power of attorney, but may become essential for fulfillment of the above-mentioned assignments.

The Trustee is authorized to further delegate the authorities granted under the present power of attorney to any third person for the indefinite period of time.

This Power of Attorney is valid for 1 (one) years term from the moment of its signature.

Grantor

/---------- ASAF NAZ ----------/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160403728
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.04.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ოდილავაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილის ჟ. შარტავას ქ 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	378324
სანოტარო მოქმედების იდენტიდუალური ნომერი	97023536039816

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.№7-ში. მომმართეს: **ასაფ რაზიმ** და მის მიერ არჩეულმა თარჯიმანმა **დიანა აბდულაევმა** (დაბ.21.10.1983წ., პირადი №01034000737) თარჯიმანს ჩემს მიერ განემარტა, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

მათ მოითხოვეს ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მხარეს წაეკითხა ხმამაღლა და განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ასაფ რაზიმ** (ისრაელის მოქალაქე; პასპორტის ნომერი: 30414038; პირადი ნომერი: 0-2362105-5) და **დიანა აბდულაევმა** (დაბ.21.10.1983წ., პირადი №01034000737) მომმართეს.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 8.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა და დღგ. 1.44 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის №169-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელეტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37851046927916

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160551279



რეგისტრაციის თარიღი

24.05.2016 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილისი ჟ. შარტავას ქ 7
ტელეფონი: 378324

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, **თამაზი ბენ იოსეფი** (ისრაელის მოქალაქე; დაბადების თარიღი: 12.07.1957; პასპორტის ნომერი: 22489315; პირადი ნომერი: 0-1163073-8) („მარწმუნებელი") მოქმედი როგორც **შპს „არ & ელ გრუპი"-ის** (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; საიდენტიფიკაციო კოდი: 404473556) („კომპანია") დირექტორი და 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი და ფიზიკური პირი უფლებამოსილებას ვანიჭებ:

არჩილ ლეჟავას (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01030025769)

ჯაბა გველებიანს (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 33001066138)

თამარ ციციშვილს (ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე; პასპორტის ნომერი: 517645210)

და

სოფიკო დეკანოზიშვილს (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01005013394) („რწმუნებულ(ებ)ი")

რათა მათ ერთობლივად ან/და დამოუკიდებლად განახორციელონ შემდეგი ქმედებები:

1. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის როგორც კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის ინტერესები ნებისმიერი მესამე პირების წინაშე და განახორციელოს მარწმუნებლისთვის კომპანიის წესდებით და

BEN YOSEF TAMASI

თამაზ ყანჩელი

